ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3476977

ნომერი: AR1530614

თარიღი : 07.08.2017

გაცემის თარიღი : 16.08.2017

გაცნობის თარიღი : 16.08.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 17 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 17/4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 7 აგვისტოს AR1530614 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დ. აბაშიძის ქუჩა #17, დ. აბაშიძის ქუჩა #17/4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:##01.16.05.001.017, 01.16.05.001.006) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და

რეგულირების საკითხთა საბჭოს და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ 2017 წლის 10 აგვისტოს სხდომებზე და ეთქვა უარი გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, კერძოდ:
• მოძებნოს ისეთი სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტა სადაც შენარჩუნებული იქნება ხე-ნარგავები. მისაღებია მცირე მოცულობების გაჩენა.
• ხე-ნარგავების მოჭრის გარეშე მოძებნოს ახალი სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტა. სასურველია აღნიშნულ არეალში მცირე გაბარიტების მქონე მოცულობების გაჩენა დამოუკიდებელ ერთეულების სახით. პარკის საჯაროობის შენარჩუნება სავალდებულოა სანაპიროს მხრიდან. ასევე შესაძლებელია სასტუმროს შენობის ბანკის შენობასთან შერწყმა შიდა სივრცეში.
• ბანკის წინ დაწევით მაგისტრალის მხარეს. სასტუმროს მოცულობა და ოფისი განთავსდეს ბანკის უკანა მხარეს. სანაპიროს მხრიდან ბაღი დარჩეს ერთიანი და თავისუფალი.
• ამ ტერიტორიის ჩართვა ურბანულ გარემოში მნიშვნელოვანია და გასაფრთხილებელი. მიუხედავად რიგი დადებითი მომენტებისა ცხრა სართულიანი მაღლივი კორპუსი ამაღლებულ ბორცვზე არ მიმაჩნია სწორ გადაწყვეტილებად. ასევე არ ვეთანხმები ბანკის შენობის იერსახეს და მთავარ მინუსად მივიჩნევ პროექტის არაანსამბლურ ურთიერთობას. ვფიქრობ, შესაძლებელია მხოლოდ ბანკის შენობის პროექტის გამოყენება. დანარჩენი დაკორექტირდეს.
• სასტუმროს შენობა და საოფისე შენობა განთავსდეს ბანკის შენობის მიმდებარედ და გადაწყვეტილი იქნას ერთ კომპლექსად. დასაშვებია კომპოზიციიდან გამომდინარე სასტუმროს მოცულობის სიმაღლეში გაზრდა რამოდენიმე სართულით. ბაღის ტერიტორია სანაპიროს და აბაშიძის ქუჩის მხრიდან სასურველია დარჩეს თავისუფალი განაშენიანებისაგან.
• ტერიტორია განვითარდეს ერთიანი კომპლექსის დაგეგმარებით და არა გაბნეულად განთავსებული შენობებით. სასურველია ბანკის, ოფისისა და სასტუმროს შენობები ერთმანეთის მიჯრით განთავსდეს. არ არის მიზანშეწონილი გზის პირზე სასტუმროს შენობის დაგეგმარება.
• საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილების თანახმად: სასტუმროს მოცულობა განთავსდეს ბანკის შენობის მიმდებარედ. ვერტიკალური გაზრდა დასაშვებია სასტუმროს შენობისა. ბაღის ტერიტორია აბაშიძისა და სანაპიროს მხრიდან უმჯობესია დარჩეს განაშენიანებისაგან თავისუფალი.
• სანაპიროს მხარეს ასეთი მაღალი მოცულობის გაჩენა არ არის სასურველი. ნაგებობები უნდა განთავსდეს ერთიან კომპლექსში, სასტუმროს ზევით აწევით ბანკის შენობის მიმდებარედ.

აღნიშნული მითითებები და რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ ზემოხსენებული საბჭოს სხდომის ოქმების ელექტრობულ ამონარიდში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.